გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ მელანაშვილის

2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 232 საკითხის განხილვაში. ბიუროს 16 სხდომას და 333 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში". დავესწარი ფრაქციის 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 147 საკითხის განხილვაში.

ვარ ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჩავატარე 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 77 საკითხის განხილვაში. ასევე ვარ საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის წევრი, დავესწარი 8 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 12 საკითხის განხილვაში.

დამატებით ვარ გორის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრი. ასევე ვარ ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრიც.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს რა დროსაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები:

- შევხვდი ქვემოხვითის მოსახლეობას სადაც გამოიკვეთა სარწყავი წყლის პრობლემა. აღნიშნული პრობლემა მოგვარებული იქნა.
- შევხვდი სოფელ შინდისის მოსახლეობას სადაც განხილული ინფრასტრუქტურული საკითხები .
- სოფელი არაშენდაში განვიხილეთ მოსახლეობასთან ინფრასტრუქტურული პრობლემები
- შევხვდი საქაშეთის და ვარიანის მეურნეობის დასახლებას სადაც ძირითად პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყლის გამრიცხველიანება.
- სფელ ფხვენისში მოსახლეობასთან განვიხილეთ ინფრასტრუქტურული პრობლემები.
- სოფელ ყექცეულში ძირითად პრობლემას წარმოადგენდა სასმელი წყლის მილსადენის შეცვლა და გამრიცხველიანება.
- შევხვდი ზემონიქოზის მოსახლეობას სადაც განხილული იქნა დასახლებაში სარწყავი წყლის მიწოდების საკითხი.

გამოვლენილ პობლემებზე მოვახდინე რეაგირება. ამასთან აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში და პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ მელანაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. ზემო ნიქოზი 2022 წლის 24 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომერის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: მერაბ მელანაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ნიქოზის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი შორენა შოშიაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბექა ლობჟანიძე;

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის მერაბ მელანაშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მერაბ მელანაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მერაბ მელანაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მერაბ მელანაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ბექა ლობჟანიძემ, შალვა სუჯაშვილმა და ვაჟა ადუაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ლობჟანიძე;

საკრებულოს წევრი : მერაბ მელანაშვილი.